ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №56

2016 წლის 25 აპრილი

ქ.ქობულეთი

ს.ს. „სილქნეტი“-სათვის სატელეფონო კანალიზაციის მშენებლობისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის №57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ს.ს. „სილქნეტს” თანდართული სიტუაციური ნახაზის შესაბამისად სატელეფონო კანალიზაციის მშენებლობაზე;

2. ს.ს. „სილქნეტმა“ უზრუნველყოს სატელეფონო კომუნიკაციის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობის სამსახურთან, ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურული და სივრცითი მოწყობისა და ზედამხედველობის სამსახურებს;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ს.ოქროპირიძე



ოექტო სატ.კანალიზაცია - 70.0 მ
ტუარზე (საშარი: ფილები)
ოექტო მცირე ტიპის კოლოფი - 2 ც

პირობითი ნიშნები

- არსებული სატ. კანალიზაცია
- არსებული ჭა
- (1) საპროექტო მცირე ტიპის კოლოფი
- საპროექტო კანალიზაცია